

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის პრობლემური ასპექტები  
პაციენტთა უფლებების დაცვის კრილში

ხატია ცეცხლაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ გურჩიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

## განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხატია ცეცხლაძე

18/01/2023

## აბსტრაქტი

ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი სიკეთეა, რომლის რეალიზებაზე ზრუნვაც სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების ნაწილია. შესაძლოა, პირს ფინანსური თუ სხვაგვარი საჭიროების გამო ხელი ეშლებოდეს აღნიშნული უფლების გამოყენებაში, სწორედ ამიტომ გახდა საჭირო სოციალური სახელმწიფოს პრინციპზე დაყრდნობით, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შემუშავება. შესაბამისი ქვეპროგრამების საშუალებით შესაძლებელი გახდა პირთა უზრუნველყოფა მედიკამენტებით, ამბულატორიული, სტაციონარული თუ სხვაგვარი სერვისებით.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის შესწავლა პაციენტთა უფლებების დაცვის ჩრდილში, მათ შორის პრობლემური ასპექტების გამოყოფა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ჩამოყალიბება. აღნიშნულის ფარგლებში გაანალიზებულია პროგრამის შემავსებელი საქართველოს მთავრობის N4, N169 და N36 დადგენილებები.

თვისებრივი და დოქტრინალური კვლევის მეთოდების გამოყენებით კი გააზრებულ იქნა ჯანმრთელობის დაცვის უფლებაზე ხელმისაწვდომობის საკითხი. გამოვლინდა, რომ კონკრეტულ პროგრამებზე წვდომა შეზღუდული აქვთ პირებს ასაკის, მოქალაქეობისა თუ სხვა ნიშნით. მაგალითისათვის, N169 დადგენილება, გარკვეულ შემთხვევებში, არ ვრცელდება საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე, ჰუმანიტარული, ლტოლვილის, დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი სტატუსის მქონე, ასევე მუდმივი ცხოვრების უფლებისა და შრომითი ბინადრობის უფლების მქონე პირებზე. N36 დადგენილება არ ვრცელდება შრომითი და მუდმივი ბინადრობის, ასევე დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი სტატუსის მქონე პირებზე. მოქალაქეობასთან დაკავშირებით N4 დადგენილებასთან მიმართებითაც იდენტური პრობლემა გამოვლინდა. ამავდროულად, იგი შიცავს ასაკისა, თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის ნიშნით დისკრიმინაციულ ჩანაწერებს.

ზემოაღნიშნული, ერთიანობაში, პრობლემას ქმნის შესაბამის სერვისებზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. კვლევის ფარგლებში გამოვლინდა კანონით დადგენილი მოთხოვნების აღსრულების დარღვევასთან დაკავშირებული საკითხები, რაც იწვევს პაციენტის პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვას. იმისათვის, რომ გამოვლენილი პრობლემური საკითხები აღმოიფხვრას, კრიტიკულად მნიშვნელოვანია პოლიტიკის შეცვლა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომით ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

**საკვანძო სიტყვები:** ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, პაციენტის უფლებები, ჯანმრთელობის დაცვის უფლება, პაციენტის ღირსებისა და პატივის ხელშეუხებლობა, ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობის უფლება.

## Abstract

Healthcare is one of the top legal priorities. It is the responsibility of the state to take care of it. The exercise of this right may be impaired for financial or other reasons. That is why it has become obligatory to develop state healthcare programs based on the basic postulates of the social state. Using relevant sub-programs, it has become possible to provide people with medicines, outpatient, inpatient, and other services.

The paper aims to study the state healthcare program in terms of protecting patients' rights, including identifying problematic aspects and establishing an approach based on human rights. In terms of the mentioned, the resolutions of the Georgian government N4, N169 and N36 supplementing the program have been analyzed.

Using qualitative and doctrinal research methods, the issue of access to the right to health care was understood. It was revealed that access to specific programs is limited to persons based on age, citizenship, or other criteria. For example, Resolution N169, in certain cases, does not apply to persons with the status of humanitarian, refugee, or temporary protection, as well as to stateless persons with the right to permanent life and work residence and status in Georgia. Decree N36 does not apply to persons with the status of labor and permanent residence, as well as those under temporary protection. An identical problem was revealed about the N4 resolution regarding citizenship. At the same time, it protects against discriminatory records based on age or health status. In combination with the above, it creates a problem with access to relevant services.

Within the framework of the research, the issues related to the violation of the enforcement of the requirements established by the law were identified, which lead to the limitation of the patient's right to inviolability of honor and dignity. To address the identified problematic issues, it is critical to change policies and increase access to health care services through a human rights-based approach.

**Keywords:** state health care program; patient's rights; right to health care; inviolability of a patient's dignity and honor; right of access to health services.